# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 205. | კვირა, 28 მარტი 1904 წ. | გაზეთის № 2451.

### „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ 25 წლის არსებობა.

#### საზოგადოების დაარსების მეთაურნი



იაკ. გოგებაშვილი



ნ. ცხვედაძე



გ. თულაშვილი



† დიმ. ყიფიანი

* * *

გაზაფხულმა შემოგვცინა
და ჩაგვიკრა ჩუმად თვალი,
მკლავი ისევ გაიშალა,
გულს აღიგზნო ცეცხლის ალი.
იმის მამაც, ფერად დროშას

ზამთრის მსხვერპლი ჟუალერსებს,
თუმც მსხვერპლია, მაგრამ მაინც
ის და ვარდს გულს გვაკვესებს.
თან გვახარებს: „სამარიდან
მე გახარებთ აღდგომასო,
სიმები არ დასწყვიტია

სამარეშიც გულის ჩანგსო.“
ყური უგდეთ იმის წკრიალს,
ყური უგდეთ იმის ჰანგსა.
ვაშა, ვაშა გაზაფხულსა!
ვაშა ისევ აღდგომასა!



„წარჩინებული იაპონელი ქალები „თეთრეულობას" ჭკერავენ დაჭრილთათვის



ადმირალ ტოგოს იერიში. იაპონურის სურათიდან.



დატუსაღებული ხუნხუზები (საკუთარის კორესპონდენტისაგან)



ნავთსადგურის შესაკრელად ბრანდერების (საცეცხლო გემები) მიახლოვება



ბრძოლა პორტარტურთან



„ცესარევიჩი“-ს ბრძოლა იაპონიის ნაღმიან გემების წინააღმდეგ.



„ვარიაგი“-ს გადარჩენილი მეზღვაურნი „პასკალი“-ს წინ.



ვლადივოსტოკის ესკადრა ქარბუქში (იანვარში)

ჩემ ხორცს კბილითა ვკვნეტავდე?!
შორს მიდის ფიქრი, შორს მიდის,
თან გლოვა-ცრემლი მიჰყვება;
მოვა და ისევ ჩემთანა:
გამხიარულდა იქნება?
სულ ტყუილია, ტირილით
მოვა და მომესალმება.
რად მინდა ფიქრი მტირალი,

თავს მოუვალი წუხილი?
თუ ნაგვალს მიწას არ დასწვიმს,
რად მინდა ქექა-ქუხილი?
გული თავისას არ იშლის,
ერჩის გონების განსჯასა.
ვინ შესძლებს, ვინ შეასრულებს
ჩემს თხოვნასა და აჯასა?!
მივენდე, წამლად ვეძებდი.

გულით მხნეობას, გასჯასა:
მაინც არა-რა ეწამლა
დაჭრილის გულის ტანჯვასა:
წელიც ამტკივდა, თავიცა,
ქარი დამადგა მაჯასა.

ვაჟა-ფშაველა.



時事新報 號外

帝國海軍大勝利

იაპონური დეპეშები ომის შესახებ



დეპეშების გამყიდავი იაპონიაში

# ვისია ეს საფლავი?

## ესკიზი

ნაუ... ნაუ... ნაუ... დაიკვნესა ზარმა და შეკრთა დუმილი შუაღამისა. მთვარემ დასავლეთისკენ გადაიწია, ციმციმა ვარსკლავებს ფერი ეკრთოთ და ხომლი კი აჟრიკჟრიკდა, უფრო განცხოველდა, მან კოცონი აუნთო განთიადს.

პატარა ეკკლესიის ირგვლივ საფლავებიდან მიცვალებულებს ჯვრები ამოეყოთ. ისინი გასცქეროდნენ ძირს გაჩირაღდნებულ ქალაქს და ესაუბრებოდნენ დუმილით: ზოგი გულის საყვარელს იწვევდა სანახავად, ზოგი პაწია შვილს, ზოგიც მეგობარს...

შრრ... შრრ... გამოუქროლა ნიავმა და გადააბნია ქალაქს იმათი ამონაკვნესი. საფლავები იწვევდნენ ცოცხლებს თვის სანახავად. არც მოტყუვდნენ. აგერ უკვე ერთს საფლავზე სანთელი აციმციმდა, იმას მოჰყვა მეორე, მესამე და მალე მთელი სასაფლაო აციმციმდა პაწია ვარსკვლავებით. ხომლის ოქროს „ზეწარმა“ ააფერადა ხავერდი გაზაფხულისა და ეს მიდუმებული სოფელი გაალვიძა, აალაპარაკა. ყოველი საფლავი სანთლის ციმციმით ელაპარაკებოდა მის სანახავად მოსულს, ყოველი საფლავი წყნარს ნიავს ატანდა სალამს მათთან, ვინც უყვარდათ სიცოცხლეში, ვისაც ჩამოსწყდნენ გულიდან. ზოგ საფლავიდან ქვითინი მოისმოდა.

მაგრამ ვისია აგერ ის საფლავი, შორს ყველასაგან განმარტოებული. იქ არ მოსჩანს ქვა, არც ჯვარი, არც სანთელი. ის მოღუშულა, ის შუბლშეკრული უყურებს დანარჩენ მოძმეთა ლიტანიას. ის გაჰყურებს ძირს გაჩირაღდნებულ ქალაქს და ეცინება მწარედ, ეცინება... დასცინის ცასაც, რომელმაც იმის სამარეს ვარსკვლავი დაუმიზნა. ქათქათა ვარსკვლავი და გაგმირული გული!.. „აღზდეგინ ქრისტე და განიბნიენ ყოველნი მტერნი მისნი„, მოისმა ხმა ეკკლესიიდან. საფლავს გაეცინა: მერე რამდენი ფარისეველი სდგას ამ წუთს თვით ეკკლესიაში, რამდენს შეუმზადებია ეკლის გვირგვინი სიმართლისა, სათნოებისა, სიყვარულისათვის, დაიხედეთ შეღებილ ხელებზე.“

ვარსკვლავმა პირი აარიდა საფლავს. ცას არ მოეწონა საფლავის სიცილი. ხომლი-კი შეკრთა, გაწითლდა და დასავლეთისკენ მიაპყრო სხივები.

ვისია ეს საფლავი? იკითხა მოძღვარმა, როდესაც გაათავა საფლავების კურთხევა და წააწყდა ობოლს, მივარდნილს სამარეს.

„ჩემი“ დაიკვნესეს განთიადის სხივებმა და აათამაშეს დილის ცრემლები ხავერდით გადამოსილ საფლავზე...

ი. ქვდოშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.